



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 23

2017 წლის 31 მარტი

ქ. თბილისი

**მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2017 წლის  
კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის გრიგოლ აბულაძის სამსახურებრივი ბარათის (N312073, 31.03.2017) შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2017 წლის კონკურსი;
2. დამტკიცდეს მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2017 წლის კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ს შესაბამისად;
4. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის და პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;

5. დამტკიცდეს ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს მაგისტრანტის კონსულტანტის ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს პროექტის რეზიუმეს ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს მაგისტრანტის კონსულტანტის თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. დამტკიცდეს მაგისტრანტის პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უსასყიდლოთ გამოყენების შესახებ, ფორმა ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;
13. დამტკიცდეს სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N12-ის შესაბამისად;
14. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
15. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე



გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი